


ქრეველ-კვინეული ჟურნალი

№ 5



წამი 10 ლა.





14 დეკემბრისთვის 1912 წ.  
მიღებულია მთლიანად. ფასი  
1 წლიანი — 1 მან., 50 კაპ.  
სოფლის მასწავლებელთა, სამ-  
კითხველოებს და უმაღლეს სას-  
წავლებლებში მოსწავლეთ დაე-  
თმობათ 4 მან.

უოველ კვირეული საზოგადო-აკონო-

მიური და სალიბერატურო უზრუნალი

რედაქცია ღიაა უოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габაевский пер. №3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

1571

**საკანონი:** მეთაური. ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკა-  
შვილი. ვინ არ უნდა ავირჩიოთ. — **ა** — ისა.  
სრულია. პეტრე ბაგრატიონი — **ალ.** ფრონე-  
ლისა. ჩვენი საქმეები — **მეგობარისა.** რა სარ-  
გებლობა მოაქვს ერბოს მკეთებელ ანხანაგობას —  
**კოლოპერატორისა.** ნავთის სამეფო — **ალ.** — **ნ**  
— **ძისა.** ხმა კახეთიდან **ძვევერელისა.** თეატ-  
რი და ხელოვნება — **რ. გ. ნარგვი.** ჩვენი ფოსტა.

თბილისი 14 დეკემბრისთვის  
1912 წ.

გაზეთების ცნობით ქუთაისის საქალაქო  
არჩევნები გაუქმებულ იქმნა. ქუთაისს კვლავ  
ეძლევა შემთხვევა გამოსოქვას თავისი სურ-  
ვილი. გავლენ თუ არა ამომრჩევლებად ბ-ნი  
კიტა აბაშიძე და მისი მომხრენი, ამას დიდი  
მნიშვნელობა ექნება სადებუტატო არჩევნე-  
ბისთვის. მთელი შეგნებული ქართველობის  
სურვილია, და მასთან ჩვენიც სწორედ ბ-მა  
აბაშიძემ და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვონ.  
მეორედაც რომ ის მოხდეს, რაც წინა  
არჩევნებზედ, ეს მხოლოდ იმის დამამტკი-  
ცებელი იქნება, რომ ქალაქი ქუთაისი ან-  
გარიშს არ აძლევს თავის თავს. სოციალ-  
დემოკრატების გამარჯვება ისეთ ტიპიურ  
წვრილ ბურჟუაზიულ ქალაქში, როგორიც  
ქუთაისია, სადაც ხმათა უმრავლესობა წვრილ

ბურჟუაზიას ეკუთვნის და სადაც მძლავრად  
აქვს ფეხი გადგმული ეროვნულ მიდრეკილე-  
ბას, მხოლოდ პოლიტიკური თვალთმაქცობა  
იქნებოდა. ასეთი საქციელი კი არ შეეფერება  
არც მომენტს, არც ამომრჩეველთა დიდ უმ-  
რავლესობის ინტერესებს. პოლიტიკური შე-  
გნება განა იმაში მდგომარეობს, ხელი აიღო  
შენ საქუთარ ინტერესებზედ და დასაკლავ  
ზვარაკად გაჰყვე პარტიას, რომელიც თავის  
დღეში არ იზრუნებს ქართულ ინტერესებ-  
ზედ? ქართული ინტერესები კი ქუთაისმა  
პირველ რიგში უნდა ჩააყენოს. ჩვენ გვესმის,  
როცა თბილისში სოციალ-დემოკრატები  
იმარჯვებენ. სომხის ბურჟუაზია მუდამ ის  
ჩხირია, რომელიც ქართულ ცხოვრების  
ბორბალს ტრიალის უშლის. ამიტომ იგი არ-  
ჩევნებში მუდამ სოციალ-დემოკრატებთან  
ერთად მიდის და მის ასეთ მოქმედებას ლო-  
ლიკა მაინც აქვს, თუ ზნეობას მოკლებულია.  
მაგრამ ქალაქ ქუთაისის კავშირი სოციალ-  
დემოკრატებთან, კავშირი, რომელიც არავი-  
თარ პოლიტიკურ და ეკონომიურ სარგებ-  
ლობაზედ არ არის დამყარებული მხოლოდ  
პოლიტიკური უსუსურობა იქნებოდა, რო-  
მელიც აღარ უნდა განმეორდეს, თუ ქალაქ  
ქუთაისს სურს განამტკიცოს ქართული პო-  
ლიტიკური აზრი რამდენადაც ძნელია აღ-  
მოსავლით საქართველოში ბრძოლა, იმდენ-



ნად იგი გაადვილებულია დასავლეთ საქართველოში, რადგან წმინდა ეროვნული ჩარჩო იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ცხოვრებისა საქართველოს ნამდვილ კერად ჰქმნიან მას, განწმენდილს უცხო და მავნე ელემენტებისაგან. ამიტომაც ქუთაისის ხმას დიდი ზნეობრივი და გამამხნევებელი მნიშვნელობა ექნება. და თუ ქუთაისმა ასეთ დროს უღალატა საქართველოს პოლიტიკურ იდეალებს, ეს იმის მომასწავებელი იქმნება, რომ თვით-შეგნება საქართველოს საზოგადოებრივ კლასებისა იმ ადგილებშიაც სუსტი და უსუსურია, სადაც მას აქამდის ყოვლის შემძლე ეროვნულ ფაქტორის ადგილი უნდა დაეკავებინა.



**ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი**

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელსაც ჩვენი ჟურნალი და სხვა, საეროვნო მისწრაფებით ამოძრავებული ჯგუფები ქართველ ხალხისა, ასახელებენ სახელმწიფო სათათბიროს დებუტატად, იქნება ორმოც წლამდე მიღწეული. იგი კახელი აზნაურიშვილია, თელავის მაზრის სოფ. ოჯიოდან.

განათლება ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში და უმაღლესი, — პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ. ხოლო მთავარი

საფუძველი მისი გონების განვითარებისა ჩაიყარა არა რუსეთში, არამედ საზღვარ გარედ, სახელდობრ გერმანიაში, — ამ ფილოსოფიის კლასიკურ ქვეყანაში.

ჯერ კიდევ მეორე კურსზედ იყო, რომ ლუარსაბი დროებით განშორდა უნივერსიტეტს და გაუდგა პეიდელობერგის გზას. აქ, ამ მეცნიერების აკვანში, აღზარდა და წრთვნა მან თავისი ინტელექტი. იგი ისმენდა სახელ-განთქმულ ფილოსოფოსის და შეუღარებელ შექსპიროლოგის კუნო ფიშერის ლექციებს. მერე გადავიდა სტრასბურგს და აგრეთვე მეცნიერებაში დიდად ცნობილის ვილდენბანტის ხელმძღვანელობით განაგრძობდა მეცადინეობას.

გერმანიაში მან დაჰყო სულ ორწელიწად ნახევარი და ეს დრო გაატარა დიდს შრომასა და მეცადინეობაში. მერე ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, რომლის გათავების შემდეგ საუნივერსიტეტო კათედრაზედ აპირებდა დარჩენას, მაგრამ წყნარი სამეცნიერო ასპარეზი მან გასცვალა უფრო მოძრავ პროფესიაზედ — ადვოკატობაზე. ამის მიზეზი იყო, — ერთის მხრით ნიშნები ხალხის მოძრაობის მოახლოვებისა, რომელიც ჰსაჭიროებდა უფრო ფიცხელ მუშაობას, ვიდრე მეცნიერის დინჯ მოღვაწეობას, და მეორეს მხრით, — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ენერგიით სავსე და მხურვალე ტემპერამენტიანი არსება.

იგი ჩაეწერა პეტერბურგის ნაფიც ვეჟილთა კორპორაციაში და მალე ბაქოს თვითმართველობის იურისკონსულტად იქმნა მიწვეული. მოძრაობის გამო იგი იძულებული გახდა პეტერბურგს გადასახლებულიყო. აქ მან მიჰყო ხელი საადვოკატო პრაქტიკას. პირველ წელსვე იგი აირჩიეს ნაფიც ვეჟილთა საბჭოს წევრად. მალე მან მოიხვეჭა სახელი ნიჭიერის და დიდად განათლებულის ადვოკატისა. თითქმის არც ერთი პროცესი, რომელიც-კი წარმოშობა რეაქციის მძვინვარებამ, უიმისოდ არ წარმოებულა და ყოველთვის იგი იღებდა თვალსაჩინო მონაწილეობას. სხვათა შორის, ჩვენში მისის თანამოზიარობით განვლო რამდენიმე პროცესმა, მაგალითად, ხაშურის, ბათუმის და სოხუმის სარევოლიუციო მოქმედების გამო.





ლუარსაბ ანდრონიკაშვილი უხვად არის დაჯილდოვებული მჭერმეტყველებისა და დიალექტიურის ნიჭით ფართო ფილოსოფიური მომზადება-კი აძლიერებს და სიმტკიცესა ჰმატებს მის ისედაც მძლეთა-მძლე ლოლიკას. იურიდიული განმარტება საგნისა, მეცნიერული დაკვირვება, საკანონმდებლო ნორმების აღსნა-დაფუძნება, - აი, მისი სტიქიონი და ხშირად გაგვიგონია მცოდნე პირთაგან, რომ ამ მხრივ რუსეთის საუკეთესო ვეჭილთა შორისაც კი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

სხვა თვალსაჩინო პროცესთა შორის, რომლებშიაც ანდრონიკაშვილს მიუღია მონაწილეობა, აღსანიშნავია განსაკუთრებით საქმე ჰერცენშტეინის მოკვლის თაობაზე და, ბოლოს დროს, დაშნაკვაკანების საქმე სენატში. დამსწრეთა გადმოცემით, მისმა სიტყვამ, რომელიც სამს საათს გაგრძელდა, უძლიერესი შთაბეჭდილება იქონია როგორც სენატორებზე, აგრეთვე დამსწრე საზოგადოებაზედ.

პირველ და მეორე სახელმწიფო სათათბიროსთან ლუარსაბ ანდრონიკაშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იგი იყო მიწვეული მშრომელ ჯგუფის (ტრუდოვიკების) სათათბიროს ფრაქციის მიერ და გულმოდგინედ მუშაობდა ამ ჯგუფის კომისიებში.

კერძო ცხოვრებაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იშვიათი ხასიათის ადამიანია: სადა, უბრალო, აღმაფრთოვანებელი მოსაუბრე. სულით და გულით ნამდვილი ქართველია, შოვინიზმს და ეროვნულ კაციჭამიობას აცილებული.

### ვინ არ უნდა ავიჩიოთ?

ყოფილი დეპუტატები გეგეჟუორი და ჩხეიძე

დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს ნუ გადააჩვევო, ამბობს ხალხური ანდაზა. ძნელია, რასაკვირველია, დეპუტატის სავარძელს გამოვთხოვო, მაგრამ გარემოება ისე შეიცვალა, რომ შესაძლებელია ამ ვაჟბატონებმა თავიანთი გუდა-ნაბადი აიკრიფონ და გზა სხვას დაუთმონ. მართალია,

ამას ნება-ყოფლობით არ იზავენ, მართალია, ბევრი ოფლისა და მეღვინის დაღვრიან, ყოველნაირ საშუალებას მიმართავენ, რომ ლელო გაიტანონ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ყველა მათ ნება-ყოფლობაზედ არა ჰკიდია!

ზოგი რომ ხალხის ნებაცაა!

საკითხავია, რას წააგებს ეს ხალხი, გეგეჟუორი და ჩხეიძე რომ გააშავონ? გაშავება კი ორივეს აუცილებლად მოელის. ყოველი დეპუტატი უნდა შეფასდეს, ჯერ როგორც ამა თუ იმ პარტიის წევრი, მერე როგორც პიროვნება. მაშ ვნახოთ, რას წარმოადგენენ ამ მხრივ გეგეჟუორი და ჩხეიძე?

თავის მიმართულებით ისინი არიან წევრნი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა. ჯერ მარტო სახელწოდება ამ პარტიისა გვეუბნება, რომ ეს პარტია ქართული პარტია არ არის. ყოველი პარტია ეროვნული უნდა იყვეს, თუ სურს სავსებით შეისწავლოს ის პირობები, რა პირობებშია ცხოვრობს ხალხი, რომელსაც ემსახურება იგი. სოციალ-დემოკრატებს კი შესწავლილი არა აქვთ საქართველო. საქართველოს მრავალი საკითხი აწუხებს: ეროვნული, საეკლესიო, საგლეხო, საერო-ბო, სასკოლო და კიდევ მრავალი სხვა, მაჯლაჯუნასეგბ დასწოლიან ქართველ ხალხს და მათი გამოურკვეველობა ჩერებს მის წინსვლას. გვიბრძანონ სოციალ-დემოკრატებმა, აქვთ მათ შესწავლილი ეს საკითხები? უნახავს ვისმეს მათ ნაწერებში, მათ ჟურნალ-გაზეთებში, ამ საკითხებზედ საუბარი? არა და ათასჯერ არა. და თუ პარტიას არა აქვს შესწავლილი ქვეყანა, რომლის მესვეურობასაც ის კისრულობს, რომელ ლოლიკის და ზნეობის ძალით აფარებს მას თავის კალთას? რომ მიდიან დეპუტატებად, რა ცოდნის და ავლადიდების პატრონნი მიდიან, რა საკითხები მიაქვთ თან გადასაწყვეტად? იშტა კი დიდი აქვთ დეპუტატობისა!..

განუწყვეტელი კავშირი ცხოვრებასთან, ხალხთან, მის საკითხებთან, აი რა ახასიათებს თანამედროვე პარლამენტარიზმს. მერე ვისთანა აქვთ კავშირი სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს? ხალხთან? არა, რადგანაც არც ეროვნული, არც საეკლესიო, არც საგლეხო, არც სასკოლო საკითხები, რომლებიც იმავე დროს ხალხური საკითხებია, მათ არ აინტერესებს ინტელიგენციასთან? არა, რადგან ინტელიგენციას ისანი გაურბიან. ინტელიგენცია ჩვენში ეროვნულია, გამსჭვალული ხალხის ნამდვილ ინტერესებით, ქართულის ინტერესე-



ბით, სოციალ-დემოკრატებს კი სძულთ ყოველი ქართული ინტერესი. ისინი ემყარებიან მარტო თავიანთ პარტიულ „ამხანაგებს“, ეს არის მთელი მათი ძალა, ეს არის მთელი მათი კავშირი „ხალხთან“. აი მათი პარლამენტარიზმი, აი მათი ხალხური წარმომადგენელობა!!

დებუტატს მუდამ ესაჭიროება დახმარება. მას გვერდში მთელი ხალხი უნდა ედგას. საუკეთესო ძალები ხალხისა, ხალხის მკოდნე და ნასწავლი წევრები მუდამ ახალ ცოდნას, ახალ დაკვირვებას და ახალ გამოკვლევას უნდა აწვდიდნენ მას, ქვეყნის შესახებ. ჩვენში კი ეს არა ხდება. გეგეჟყორი და ჩხეიძე დაბრძანდნენ ტავრიდის სასახლეში და ხალხთან კი ყოველი კავშირი მოსპეს. ან რად უნდოდათ ეს კავშირი საქართველოსთან, როცა ქართულ ინტერესებს არ იცავდნენ. მაშასადამე, როგორც დებუტატები ისინი მოღალატენი არიან პარლამენტარიზმის პრინციპისა, როგორც პარტიის წევრები ისინი არ ეკუთვნებიან ქართულ პარტიას!

განვიხილოთ, ახლა, რას წარმოადგენენ ისინი, როგორც პიროვნებანი. დებუტატობა ადვილი საქმე არ არის. საჭიროა დიდი ცოდნა, დიდი გამოცდილება, დიდი დაკვირვების ნიჭი, თავისუფალი აზროვნება, დამოუკიდებელი მოქმედება და გამჭრიახობა. თუ ყველა ეს არა აქვს დებუტატს, და პარლამენტში მიდის, მაშინ იგი ცუდლუტია, მატყუარაა, ის თბილი აღაგისთვის მიდის იქ. ამ მხრივ გეგეჟყორი და ჩხეიძე „უკაცრავლ მოხსენებას“ წარმოადგენენ. ეხლა, ხუთი წლის შემდეგ, როცა მათ გაიბეჯიჯეს დაწერილის ზეპირად თქმა, რასაკვირველია, „დიდად მომზადებული და დიდად მკოდნე“ დებუტატები არიან, თითქმის მათ აღარავინ სჯობიან, თითქოს საქართველოს მზე და მთვარენი ესენი იყვნენ, მაგრამ ვინ არ იცნობს მათ. ჩხეიძე ეხლა გახდა დიდ მკოდნე და მომზადებულ დებუტატად და ამ გულმაფიწყა კლაკიორებს დაავიწყდათ, რომ ოდესღაც თითონვე დასცინოდნენ მას: „ჩხეიძემ თავისი სიკოცხლე კარლ მარქსის „კაპიტალის“ შესწავლას მოანდომა და სიტყვა „კარლის“ მეტი ვერაფერი შეითვისაო!

მარტო ერთი გეგეჟყორი ღირს იმათ, რომ საქართველომ თავის ბედს შეხედოს და მწიარედ ჩაიცინოს! ფრანგ მინისტრ ბრიანზედ ამბობენ, პარტიზში რომ მოვიდა, ფრეკის მეტი არა ებადარაო. გეგეჟყორი ბრიანზედ ბედნიერია, თუ კი მან უფრეკოდაც მიაღწია დებუტატობას! უნივერსიტეტადან პირდაპირ პარლამენტში შებრძანება,

როცა საქართველოში მას ერთი ძე სურციელი არ იცნობდა, — ეს ისეთი თვალწარმტაცი კაციერა არ ის ახალგაზრდა ადამიანისათვის, რომ იგი რომელიმე უწყებაზე პროტექციით გამწვანებას უფრო ჰკავს, ვიდრე ხალხისაგან დებუტატად არჩევას. მაგრამ მაშინ არც ცოდნაზედ ლაპარაკობდნენ, არც „ნამსახურებით ფურცლებზედ!“ ეხლა კი ყურებს გვიქედავენ, ქვეყანას აწუხებენ, ქვეყანას ეღრიჯებიან, ყელს უწევენ ჩვენ ვაგვიყვანეთ, ჩვენ ამოგვიჩეთო. რათა, რისთვის? რა გაუკეთეთ საქართველოს? რაც გეგეჟყორი და ჩხეიძე სათათბიროში იყვნენ — ტავრიდის სასახლეში სიტყვა „ქართველი“ არ დაძრულა. რად ერიდებიან ისინი ამ სიტყვას? საქართველო განა ანონიმური ქვეყანა არის, რომ მისი დებუტატები მარტო ნაცვალ-სახელობით ლაპარაკობდნენ?

ჩხეიძემაც და გეგეჟყორმაც უღალატეს თავის ხალხს, უღალატეს მის მისწრაფებას. უღალატეს თვით პარლამენტარიზმის პრინციპს, როცა ხალხიდან დებუტატებად გავიდნენ და ნამდვილად კი ქართველ ხალხისათვის ცარიელი სუტყვაც არ გაიმეტეს. მათ დაიმსახურეს, რომ ქართველმა ხალხმა მომავალ აჩვენებში თავისი ზიზღი გამოუცხადოს ამათ პარტიას და ამათი მისწრაფების გამომსახველთ. და ამის დასამტკიცებლად, ყველა ამომჩველის უწმინდეს მოვალეობას შეადგენს შავი კენჭი მისცეს.

მაშ გავაშაოთ ერთხელ და სამუდამოდ ჩხეიძე და მისი ამხანაგები.

## ახალი ამბები

◆ გაზეთ „ქართლის“ № 40 დი 41-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ქალთა გიმნაზიების შესახებ, ვინმე მოველისა, საცა ის აზრია გამოუქმული, რომ ახლანდელი ქალების გიმნაზია და საზოგადოდ სწავლება ამახინჯებს ქართველ ცხოვრებას. (ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამაში და მომავალში ამ საკითხს განსაკუთრებით შევვებებით, როგორც მეტად საყურადღებოს ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის.)

◆ საადგილ-მამულო კომისიამ დაადგინა: მიეცეს 400 მან. „განათლების“ სკოლას — სახელოსნოებისათვის; და 300 მან. მერძვეეთა ამხანაგობა „ანკარას“.



◆ თბილისის გუბერნიაში უკვე არჩეულია 42 ამომრჩეველი.

◆ ქუთაისის ქალაქის არჩევნები კომისიამ უკანონოდ სცნო და გააუქმა. ბ-ნ გეგეჭუორს წაერთვა ცენზი.

◆ სიღნაღის ქალაქის არჩევნები კომისიამ უკანონოდ სცნო და გააუქმა.

◆ „ქართულა“ ქალაქები და არჩევნები. გორმა, ახალციხემ, ახალქალაქმა, თბ-ლისმა ამომრჩეველად სომხები აირჩია. იმედია, სიღნაღიც არ უღალატებს და მიუმატებს მათ კიდევ ერთს „ქართულ ინტერესების დამცველ“ ხმას.

# პეტრე ბაგრატიონი

(1765—1812)

V

1806—1807 წ., ნაპოლეონთან დაშკრობაში, პეტრე ბაგრატიონი, ჩვეულებისამებრ, ხან ავანგარდს უფროსობდა, ხან არიერგარდს, იმისდა მიხედვით, თუ რა ყოფაში იყო რუსის მხედრობა— წინ მიიწევდა, თუ უკან იხევდა. 1806—1807 წ. დაშკრობაშიც თავადმა ბაგრატიონმა საკვირველი და საოცარი მხნეობა, მამაცობა და სამხედრო ნიჭი გამოიჩინა და დიდებით შეიძღვსა თვისი ისედაც დიდებული სახელი. საკვირველი და საოცარი ის კი არ არის, რომ ბაგრატიონი იმარჯვებდა და დაფნის გვირგვინით ამკობდა რუსის მხედრობას, საოცარი და თითქმის გაუგებარი ჩვენთვის ის არის, რომ ამ შეუდარებელ გმირთა-გმირს, ანუ «ЧУДОНОГАТЫРЬ»-ს, როგორც სამართლიანად უწოდებს პეტრე ბაგრატიონს ბ. ბორსევჩი\*), მთავარ სარდლობას დიდ ხანს არ აძლევდნენ და ამის გამო იძულებული იყო სხვათა ხელქვეითად ემოქმედნა და ესრულებინა სხვისი ბრძანება და განკარგულება.

რუსის მხედრობა იძულებული გახდა დაეხია პრეისიშ-ვილაუსკენ. პეტრე ბაგრატიონი მთელი სამი დღე განუწყვეტელ ომიანობით აჩერებდა და აფერხებდა ნაპოლეონის არმიას 70 ვერსის მანძილზე. ფრანგებმა დაიქირეს პრეისიშ-ვილაუ და შიგ გამაკრდნენ. რუსის მხედრობის მთავარ-სარ-

დალმა ბენიგსენმა საკაროდ დაინახა ფრანგების განდევნა ამ პატარა დაბიდან და უბრძანა ბაგრატიონს, რათაც უნდა დაგიჯდეს, ფრანგები უნდა განდევნო პრეისიშ-ვილაუდან. ბაგრატიონი წინ გაუძღვა დივიზიას, ბაირალი <sup>სამხედრო</sup> შეუტია დაბას და დაიმორჩილა.

ბენიგსენის ბრძანება დასურვილი, მართალია, შესრულებულ იქნა, მაგრამ რუსის მხედრობა მანც იძულებული გახდა დაეხია ქალაქ კენიგსბერგისკენ. რაღა თქმა უნდა, რომ ამ უკან დახევის დროსაც ზურგის ჯარს განაგებდა გენერალი ბაგრატიონი.

რაღაც გამოურკვეველ მიზეზის გამო, ნაპოლეონმა ყოყმანი დაიწყო და რუსებს არ დაეღვენა უკან. ამის გამო ბენიგსენმა პირი იბრუნა და კვლავ შეუტია ნაპოლეონს.

თვისის ავანგადით ბაგრატიონმა დაიქირა გუტშტატი. იერიში მიიტანა მტერზე ალტკირხენთან, ექვსის საათის ბრძოლის შემდეგ წაართვა ხელსაყრელი პოზიცია ფრანგებს და ცხკრე-ბივით წინ გაილაღა. მეორე დღეს 25 მაისს 1806 წელს, წამოეწია გაქცეულთ და სოფელ ანკენდორფთან კვლავ დაამარცხა მტერი.

ფრადლანდის ბრძოლაც ისტორიულია, როგორც აუსტერლიცისა და ვატერლოოსი. აქაც, როგორც აუსტერლიცთან, ნაპოლეონმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და მეხი დასცა მოკავშირეთ. მართალია, პეტრე ბაგრატიონი დამარცხებულ დაშკრის გენერალია, მაგრამ მასი ღვაწლი ფრიდლანდის ბრძოლაში ისე თვალსაჩინო, ისე დიადია, რომ გამარჯვებაზე ნაკლებად არაა აღსანიშნავი.

ბაგრატიონის რაზმს ბრძოლის დროს მარცხენა ფრთა ექირა. რუსის მხედრობის შეაგულმა, ანუ ცენტრმა, ვერ გაუძლო ნაპოლეონის ჯარის იერიშს, შედრკა, აირია და უწეს-რიგოდ და უკაფ-ბოლოდ უკან დაიხია.

დადგა ეში განწირვისა. ბენიგსენის მთელს მხედრობას ამოვლგტა და განადგურება მოელოდა. საჭირო იყო თავგანწირვა, უზომო მხნეობა, რომ ნაპოლეონს საბოლოოდ არ გაეთელა რუსის მხედრობა.

„ომიანობის დმერთს“ — ბაგრატიონს არც ფრიდლანდთან უმტყუნა ბედმა. იშიშვლა ხმალი და წამა მიიტრა მოსკოვის გრენადერთა პოლკთან. საცოდავს სანახაობას წარმოადგენდა სახელოვანი პოლკი. მჭერმეტყველურის სიტყვით მიჩართა თავადმა პეტრემ პოლკის ნაშის, მოაგონა იტალიის

\*) იხ. Русскій Инвалидъ, 1912 г. № 211, გვ. 3.



ლაშქარ-ომიანობის საგმირო საქმენი, მოაგანა სახელი დიდებულის სუვოროვისა, მაგრამ რა, ველ-რეფერმა იმოქმედა სიტყვანი ნუგეშისა და განხე ვებისა აღარა სჭრიდა, სალდათის გულს აღარა ხედებოდა, ისე იყო აკლებული და გულგატეხილი პოლკი. აირია და გული გაუტყდა განა მარტო ამ პოლკს, შედრკენ აგრედვე სემიონოვისა და პავლეს პოლკები. რაკი აქ ვერას გახდა, რაკი ველარ ჩაშბერა ვაჟკაცობის სული გულგატეხილ საუკეთესო პოლკებს, დაანება თავი და პოლკოვნიკ ა. პ. ერმოლოვს \*) უბრძანა, — რეზერვიდან მომხიყვანე, რომელიც უნდა იყვეს, ერთი არტილერიის როტა მაინცაო.

საქირო იყო როგორმე შეჩერება ფრანგებისა თუნდ მცირეს ხნით, რომ დამარცხებული და გონება დაკარგული რუსის ლაშქარი გონს მოსულიყო და თუ ველარ შესძლებდა ბრძოლას, სამშვიდობოს მაინც გასულიყო.

თავადმა პეტრემ სწორედ რომ სასწაული მოახდინა.

მთელი თექვსმეტი საათი გაუძლო ნაპოლეონს; ცეცხლსა და გენაში იტრიალა თექვსმეტი საათი და მაინც არ შედრკა. როგორც კლდეს აზვირთებული ტალღა, ისე ეხეთქებოდა ნაპოლეონი ბაგრატიონს, მაგრამ მაინც ფეხი ვერ მოაცვლევინა...

დამარცხებული რუსის მხედრობა ტილზიტისაკენ დაიძრა. ნაპოლეონი ფეხდაფეხ მისდევდა რუსებს, მაგრამ ვითარცა გამძვინვარებული ლომი ბაგრატიონიც წინ ელობებოდა, აჩერებდა და აფერხებდა. ხუთი დღე გაგრძელდა ეს შეუპოვარი უმაგალითო ბრძოლა.

აღმასებით შემკული ხმალი უბოძეს ბაგრატიონს ფრიდლანდის ბრძოლის ჯილდოდ ზედწარწერით: „მამაცობისთვის“.

1805—1807 წელთა ომიანობა — ლაშქრობაში ძალზედ დაიღალა და მოიქანცა პეტრე ბაგრატიონი. ან კი ვინ აიტანდა იმოდენა შრომას, რა შრომა და ჯაფაც გასწია და აიტანა ამ რკინისა და ფოლადის ადამიანმა. მართალია, საქირო იყო

მისთვის მოსვენება, მაგრამ უთხრეს თუ არა, მონაწილეობა უნდა მიიღო შვედებთან ომშიც, ერთს წუთსაც არ უყოყმანია და თანხმობა გამოუცხადა სალაშქროდ წასვლაზე.

1808—1809 წ. რუსეთმა ხმალი და მახვილი შეიტანა შვედების პროვინცია ფინლანდიაში და საუკუნოდ დაიმორჩილა იგი. ფინლანდიას რუსებმა ალანდის კუნძულებიც ზედ მიაყოლეს.

გენერალ-ლეიტანტ ბაგრატიონს ამ ომიანობაში ებარა ერთი ქვეითა ჯარის დივიზია. ამ ლაშქრობაშიაც ისეთივე გმირობა გამოიჩინა ბაგრატიონმა, როგორსაც ჩვეულებრივ იჩენდა ურიცხვ მაშინდელ ლაშქარ-ომიანობაში. 15-16 თებერვალს ბაგრატიონმა დაამარცხა შვედების გენერალი ადლერკრეცი, 28-ს დაიჭირა ქალაქი ტამერფორსი, 4-ს მარტს თვით შვედების მთავარ სარდალი კლინგსპორსი დაამარცხა და მთელი 8 დღე ფეხდაფეხ მისდევდა 200 ვერსის მანძილზე გაქცეულს სარდალს. გზა კი ისეთი საზიზღარი იყო, რომ მისი სიავე კალმით არ აიწერება და ენით არ გამოითქმება. 10-ს მარტს დაიჭირა ქალაქი აბო, 12-ს ქრისტიანშტადტი, 26-ს ქ. ვაზა და 31-ს ალანდის კუნძულები.

ახლა კი უღალატა ბაგრატიონს ჯანმრთელობამ. ფინლანდია მწირი და ცივი ქვეყანაა, სავსე ქაობებით, ტბებით და კლდეებით. ველარ აიტანა ლაშქრობა ამ დუხჭირ ქვეყანაში, ველარ გაუძლო მკაცრს ბუნებას და ლაშქრობის სიძნელეს და უქეფოდ შეიქმნა. გამოეთხოვა ლაშქარს და დასასვენებლად წავიდა. მაგრამ მოიკეთიანა თუ არა, ეს ომისათვის გაჩენილ-დაბადებული გმირთა-გმირი ბრძოლის ველზე მოფრინდა 1808 წლის შემოდგომაზე და 16 ენკენისთვის დაამარცხა შვედების ორი გენერალი გელზინგთან.

შვედების სამუდამოდ წასახდენად და დასათრგუნად იმპერატორმა ალექსანდრემ შეადგინა მეტის-მეტად ძნელი და სახიფათო გეგმა. რუსის ჯარი ყინულზე უნდა გასულიყო ბოტნიკის ყურეთი (ზღვის ტოტი) და სატახტო ქალაქი სტოკჰოლმი აეღო რუსის მხედრობის მთავარ სარდალნი ჯერ ბუკსგევდენი და შემდეგში კნორრინგი ყოყმანსა და რყევაში იყვნენ და ვერა ჰბედავდნენ სისრულეში მოეყვანათ ეს სახიფათო და საშიში გეგმა. საქმის გასარიგებლად და მოსაწყობად ლაშქარში ამოვიდა ყურმოჭრილი ამსრულებელი იმპერატორ ალექსანდრეს ნება-სურვილისა გრაფი არაქჩევი. „თუ გვიბძანებთ — გავილაშქრებთო“, უპასუ-

\*) ეს ის ერმოლოვია, რომელიც 1816 წელს დაინიშნა მთავარმართებლად სეპარტეველოში. ერმოლოვს ეძახდნენ „კავკასიის პროკონსულს“. დეკაბრისტებს, არ ვიცო-კი რად, იმედი ჰქონდათ, რომ კავკასიის პროკონსული დაიძვროდა 1825 წელს თავის საწვლადი კორპუსით საქართველოდან და დახმარების ხელს გაუწვდიდა დეკაბრისტებს, კონსტიტუციას რომ ეტანებოდნენ.



ხა თ. ბაგრატიონმა გრაფ არაკჩეევს. ამ პასუხიდან სჩანს, რომ თავადი პეტრე სრულებითაც არ შესულა იმის ძიებასა და კვლევაში—შეიძლება ამ უცნაურ გეგმის სისრულეში მოყვანა და ჯარის გაყვანა ყინულზე, თუ არა.

ბაგრატიონი დანიშნეს ცალკე რაზმის უფროსად. ლაშქარი სულ სამს რაზმად დაეწყო და გაემართა ყინულით შებორკილ ბოტნიკის ყურეთი შვეციისაკენ. ქალაქ აბოდან გ მოსულმა, გზა-გზა ბაგრატიონმა 6 დღის განძაფრობაში დაიჭირა ალანდის კუნძულები\*). რაკი სტოკჰოლმის გზაზე ეს კუნძულები დაიჭრა და ფეხი მოიმაგრა, ბაგრატიონმა ავანგარდი ჩააბარა გენერალ კულნეგს და სატახტო ქალაქისაკენ გაისტუმრა. კულნეგმა ყინულით უვნებლივ გაიარა ბოტნიკის ყურე, გვიდა ხმელეთზე და სტოკჰოლმის მიდამოებში დაიჭირა დაბა გრისსელგამი. ომიანობა ამით დასრულდა და რუსთა და შვედებს შორის ზავი ჩამოვარდა. რუსეთს სამუდამოდ შერჩა შვეციის პროვინცია ფინლანდია, ის ფინლანდია, რომელიც დღეს ამოდენა აურ-ზაურს აყენებს რუსეთს და თავში სახეთქს საქმეს უჩენს.

ბაგრატიონის ხმლით დამორჩილებულს ფინლანდიას იმპერატორმა ალექსანდრე I-მა უწყალობა ავტონომია, რომლის მეოხებით ეს მწირი და ქაობიან-კლდიანი ქვეყანა აყვავდა და გაბიძინებდა, გაძლიერდა ეკონომიურად და განვითარდა პოლიტიკურად.

1808 წ. რომ პეტრე ბაგრატიონმა უკიდურეს ჩრდილოეთში რუსეთს დაუმორჩილა ფინლანდია, თითქმის ამავე დროს, 1802—1806 წლებში, მეორე სახელოვანმა ქართველმა, იმავე სუფოროვის საყვარელმა შეგირდმა, პავლე დიმიტრის ძე ციციშვიმა, დაუმკვიდრა რუსეთის იმპერიას საქართველო ისტორიულ სამზღვრებით. მკაცრ და დუხჭირ ბუნების მაგიერ აქ, ჩვენს სამშობლოში, ია და ვარდია, ფირუზის ფერი ცა, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს. იქ, თოვლიან-ყინულიან ფინლანდიაში ამაყი და დოვლათიანი ვრია, ხოლო აქ ნიათ გამოღეული, ცინდლიანი და იმოდენად გაოგნებული, რომ მტრისა და მოყვრის გარჩევს თავიც აღარა აქვს.

ალ. ფრონელი.

# ჩვენი საქმიანობა

წერილი II



თუ შემოდგომის დამდგმულ სწავლას დაწყების დროს ჩვენი სასწავლებლების კარებთან გაივლით შემზარავსა და უსიამოვნო სურათს დაინახავთ ხშირად.

ღარიბად ჩაცმულ დედ-მამას შუაში ჩაუყენებია დეკლექციონ-დაფულეთილ ტანისამოსიანი პატარა ბავშვი და გამვლელსა და გამომვლელს ეხვეწება: შენი ჭირიმე, დამეხმარე, შვილი უსწავლელი მრჩება, იქნებ როგორმე მიიღოთ სკოლაში და ჩვენი მადლი მოიხსათ.

საბრალო დედ-მამა თავს იმცირებს, თავის სიღარიბისა არა რცხვენია, ტირის, იხვეწება, იმუდადარება, რადგან მას ამოკმედებს მეტად სამწუხარო აზრი: შვილი უსწავლელი არ დარჩეს.

ამ სიღარიბისა, ამ თავის დამცარების მნახველს უსიამოვნოდ ეკუმშება გული, მაგრამ ამ უსიამოვნებიდან სასიამოვნო დასკვნა გამოგყავთ:

— ჩვენში სწავლა განათლების სურვილი მეტად დიდია!

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღარიბ გლეხკაცობას, რომელსაც შვილის გასაზრდელად საკმაო პურიც არა აქვს, ძნელად შეხვდებით ჩვენში ისეთ დედ-მამას, რომელიც მზად არ იყვეს სულით-ხორცამდე გაიყიდოს, ოღონდ კი შვილს სწავლა მიადებინოს.

რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს დავიჭერ ხელში, ვითხოვ და შვილს კი სკოლაში გავზრდი! — ხშირად გამიგონია ქვრივად დარჩენილ ღარიბი დედისაგან.

მინახავს დედ-მამა, რომელსაც ამ გვარი განზრახვა საოცარის თავგანწირულებით მოჰყავს სისრულეში. წლითი-წლობამდე ცარიელ მქადითა და ლობიოთი საზრდოობენ, არ იცმენ, არ იხურავენ, ყოველგვარ სიამოვნებას გვერდს უქცევენ, თავს სიცოცხლივ იმარხავენ, ჰყრიან რაც კი რამ აბადიათ და შვილს კი ზრდიან სკოლაში.

მათი ფიქრი, სურვილი, ოცნება მთლად ამ მხარესაა მიქცეული და იობის მოთმინებით ელიან იმ ნეტარ დროს, როდესაც მათი შვილი სწავლას დამთავრებს, ცოდნით შეიარაღებული ფეხს შესდგავს ცხოვრებაში და არჩენს თავსაც და დედ-მამასაც, რადგან ამ უკანასკნელთ აღარაფერი არა

\*) ამ კუნძულების აღება გახდა მიზეზად, რომ შვეციამ ზავი მოითხოვა.



დარჩათ რა, რაც კი რამ ებადათ შვილის სწავლის მოანდომეს.

დედ-მამის ამ გვარი იმედების გაცრუებისა და ჩაშლის ხელის შეწყობა ბოროტ-მოქმედებაა. ცხოვრება, რომელიც არ დაავიროვინებს ამ გვარად თავგანწირულ დედ-მამას, სასტიკადაა დასაკმობი; გასაკიცხი და ზიზღის ღირსია ის შვილი, რომელიც მთელი თავისი ფიქრითა, ძალითა და ღონით არ სცდილობს, როგორმე დაუტკბოს ზედ გადამკვდარ მშობლებს დარჩენილი მოკლე სიცოცხლე და ათი ათას განვლილს მწარე შავ დღეებში ერთი ორი დღე მაინც არ აგრძნობინოს თავი ბედნიერად.

ეს კი ზშირად ასე არ ხდება და აი რატომ.

სახალხო სწავლა-განათლების სამინისტროს მთელი ყურადღება და მზრუნველობა მიქცეულია ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიებსა და კორპუსებისაკენ და ქალთა ინსტიტუტ-ზავედენიებისაკენ. რუსეთთან საქართველოს შეერთებიდანვე თბილისში გაიხსნა სამი სასწავლებელი: ვაჟებისათვის „ქეთილშობილთა სასწავლებელი“ და სამხედრო კორპუსი და ქალებისათვის „ინსტიტუტი.“ ამის შემდეგ ამ გვარ ტიპის სასწავლებელთა რიცხვი თანდათან იზრდება ჩვენს ქალაქებში და სწავლის მსურველს, რასაკვირველია, ბუზივით მისვია მათ.

კლასიკურ გიმნაზიებსა, კორპუსებში და ინსტიტუტებში შვილის აღზრდა ოცნებად ექცა ჩვენს ხალხს.

ყოველი ქართველი დედ-მამა, ქალაქის თუ სოფლის მცხოვრები, ნეტარებით ელოდა იმ დროს, როდესაც თავის ვაჟი-შვილს დაინახავდა ან აფარის ტანისამოსით გამოწყობილს, ან უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულს „დიპლომიან“ ექიმს, ვეჟილს, მასწავლებელს, ინჟინერს და სხვა; ხოლო ქალს ნაზად აღზრდილს ინსტიტუტში, ფრანგულად მოტიკტიკეს და კარგად გავარჯიშებულს ცეკვა-თამაშში, მიხვრა-მოხვრაში, ადგომა-დაჯდომაში და „მსუბუქ“ ბაბში.

იდეალი სახალხო სწავლა-განათლების სამინისტროსი, ქართველ ხალხის იდეალად იქცა.

იდეალად იქცა როგორც იმ დედ-მამისთვის, რომელიც მხოლოდ თავის შვილის კეთილდღეობაზე ფიქრობს, ისე იმ დედ-მამისა, რომელიც შვილის კეთილდღეობის გარდა, ჰფიქრობს და ზრუნავს საერთო საქმეზედაც, სამშობლოსა, თავის ერის აღორძინება-განვითარებაზე.

ამ მიმართულების შედეგი იყო, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, როგორც თბილისისა ისე ქუთაისის გუბერნიისა, თავიანთ დედა-ქალაქებში კლასიკური გიმნაზიები დააარსა; ამ მიმართულების შედეგია, რომ თუ რომელიმე ჩვენს პროვინციულ-რი ქალაქი, ან დაბა, სკოლის დაარსებას განიზრანავს, უთუოდ კლასიკურ პროგიმნაზიას დააარსებს, რომ შემდეგში, თუ ვერ შესძლებს და პროგიმნაზიას გიმნაზიად ვერ აქცევს, მათ შვილებს საშუალება მიეცეთ დიდს ქალაქების გიმნაზიებში განავრძონ და დაასრულონ სწავლა.

ამ მიმართულების შედეგია, რომ დღეს ასობით ქორთა ბავშვი იგზავნება ვლადიკავკავისა და ვორონეჟის სამხედრო კორპუსებში და ამ მიმართულების შედეგია, რომ ჩვენს ქალაქებში არსებულ სამეურნეო, ტექნიკურსა და პროფესიონალურ სასწავლებლებში შვილის აღზრდა თავის დამამცირებლად მიიჩნია ქართველ დედ-მამას.

როცა ბავშვი ან სიზარმაცისა, ან სიცუდლუტისა, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერა სასწავლებელში ვერ ივარგებს, მაშინ და მხოლოდ მაშინ მიუგდებენ, მაგალითად, თბილისის საბაღოსნო სკოლას და ზედ მიაყოლებენ: შენგან ხეირი არ გამოვაო!

მეტის მეტი ღარიბი, ან ობოლი, ან მახინჯი უნდა იყვეს ქართველი პატარა ქალი, რომ ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში მოხვდეს.

რადა? იმიტომ, რომ ამ გვარ ტიპის სასწავლებლებს მთავრობა ძალიან ნაკლებად აქცევს ყურადღებას და ისეთ მდგომარეობაში ჰყავს ისინი, რომ მართლა დასამცირებელია დედმამისთვის ამ სკოლებში შვილის აღზრდა-განათლება.

საშუალო კლასიკური სასწავლებლები, სამხედრო კორპუსები და ინსტიტუტ ზავედენიები!

ამ სკოლებმა ხელი შეუწყეს გაღარიბებას ჩვენი ხალხისას, დაუძღურებას ჩვენი ერისას და გაამრავლეს ჩვენში „ნედაუჩკები“, რომელნიც პოლიტიკოსობენ, პოეტობენ, მწერლობენ, „მოღვაწეობენ“ და რომელთა რიცხვი ჩვენში მეტად დიდია. ყველა ეს, შემდეგ წერილში ვეცდები დავასაბუთო და ჯეროვანი დასკვნა გამოვიყვანო.

(შემდეგი იქნება)

მეგობარი.



# რა სარგებლობა მიუქვს ერ-

## ბოს მკეთებელ ამხანაგობას

ჩვენი ქვეყნის ერთ-ორ სოფელში უკვე ჩაეყარა საძირკველი ერთი ჯურის წარმოების ამხანაგობას, სახელდობრ მერძეობისა და იმედია, საქმის კარგად დაყენებით და მუყაითობით თანდათან განვითარდება და წინ წავა. კარგი იქნება, რომ ამ სოფლების მაგალითს სხვა სოფლებმაც მიჰბადონ და თუ მერძეობისა არა, სხვა წარმოების ამხანაგობა მაინც დააარსონ. წარმოებათა ამხანაგობანი, თუ კი განვითარდება, ერთი უკეთეს საშუალებათაგანი იქნება ჩვენი ქვეყნის ქონებრივად გაძლიერებისა; მათი წყალობით, ნაკლებულობისაგან დაჩაგრული ჩვენი სოფელი, შეიძლება ფეხზე წამოდგომას და წელში გასწორდება. ჟურნალი „კლდე“ საერთოდ ეცდება შეძლებისამებრ მიაწოდოს მკითხველთ ცნობები ამგვარ ამხანაგობათა შესახებ.

კერძოდ ეხლა, მე მიზნად ვაკაცნოთ ერბოს მკეთებელ ამხანაგობის სარგებლიანობა.

ხსენებული ამხანაგობა ასრე იმართება. რომელიმე იდი სოფელში, საცა 100—150-ზე ნაკლები ძროხა არ არის, ძროხის შეკავშირებული პატრონები აქუჩებენ ფულს (2—5 მანეთამდე თითო ძროხაზე) თავიანთ შორის, შოულობენ ადგარს, საცა შეიძლებაოდეს ერბოს გაკეთება, იძენენ სეპარატორს (არაქანის და რძის განმაცალკეველებს) და სხვა საჭირო იარაღს, იჭერენ მცოდნე ერბოსმკეთებელს და იწყებენ საქმეს. \*) ყოველ დღე თვითთელი ამხანაგთაგანი თავის ძროხების მთელი დღის წველას საზოგადო ქარხანაში გზავნის, სადაც ერბოს მკეთებელი მანქანების შემწეობით აცალკევენს არაქანს რძისაგან. არაქანი იქვე რჩება საკარაქოდ, არაქან მოხდილი რძე კიდევ, სრულიად სუფთა და საქმელად გამოსადეგი, პატრონს უბრუნდება. გამოცალკეებულ არაქანის რაოდენობა თვითთელ პატრონის წიგნში იწერება და განსაზღვრულ დროს ანგარიშით ეძლევა ფული. ერთი დღის განმავლობაში მოქუჩებულ არაქანს

ერბოსმკეთებელი სდღებავს და კარაქის ან ვადამდნარ ერბოს სახით ხელსაყრელ ფასებში ჰყიდის. ერთი წლის უკან, კარაქადან თუ ერბოდან შემოსული მოგება (გარდა უკვე აღებული ფასისა), აკრთვე თანასწორად იყოფა მკეთებლების შორის.

ამნაირად პატრონებს ფულიც შეჰოსდით არაქანის წყალობით და თავისთვის საქმელი რძეცა რჩებათ.

რამდენად მომგებიანია ამგვარი ამხანაგობა გლეხობისათვის, ეს შეიძლება დავინახოთ გინდა ან ამ მაგალითიდან. გლეხის კარგი ჯიშის ძროხა ჩვეულებრივ წელიწადში 90—110 ვედრამდე რძეს იძლევა. რომ უფრო ადვილად ვიანგარიშოთ, ვსთქვათ, ძროხა იძლევა წელიწადში სწორედ 100 ვედრას, ე. ი. 75 ფუთ რძესა. რაც უნდა იაფობა იყოს, ამხანაგობას საერბოსმკეთებლო, სულ ცოტა 50 კაპ. მაინც მისცემს თითო ფუთ რძიდან მოხდილ არაქანში, ე. ი. წელიწადში 37 მ. და 50 კ. ისე რომ სრულიად უწვალეებლად თვითთელი პატრონი თავის ძროხისაგან რძესაც აიღებს და შესაფერად საკმაო ფულსაც. თუ პირველ წელიწადს ამხანაგობას მთელი მოგება იმ ვალის მოსაშორებლად დასჭირდება, რომელიც დაედო საერბოსმკეთებლოს მოწყობისა და საჭირო იარაღის შეძენის გამო, შემდეგში, მეორე წელიწადს, ეს ხარჯები აღარ იქნება და მონაწილე პატრონების შემოსავალს 7<sup>2</sup>/<sub>10</sub> მანეთამდე მაინც კიდევ მოგებაც წაემატება. ამის გარდა შემდეგში არაქანის რაოდენობა და ფასი მატულობს და შეიძლება, თითო ძროხამ თავის პატრონს ხალასი 70 მანეთი მოგება მისცეს. რაღა თქმა უნდა, ცალკე მომქმედ გლეხთაგანს ამოდენა ფულის იღების იმედი მარტო იმას ექნება, რომელიც ქალაქის მახლობლად სცხოვრობს და იქა ჰყიდის თავის ძროხების რძესა. თუმცა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ არც ქალაქის მახლობლად მცხოვრებ გლეხკაცისათვის არის ძლიერ სახირო საქმის ცალკე გაძლოლა, რადგანაც ამგვარ ადამიანს სხვა წვალებისა და ვაი-ვაგლახის გარდა, რძის დატარებაზე დიდი დროს დაკარგვა უხდება და ქურქლის ყიდვაზე ფული ეხარჯება. საერთოდ თუ რომელიმე ოჯახის პატრონს მოუვა აზრად, ერბოს კეთებას მოჰკიდოს ხელი, თავის დღეში ცალკე საქმის წაყვანით იმოდენა მოგებას ვერ აიღებს, რამოდენასაც ამხანაგობის წყალობით. მართლაც და შინაურულად ერთი გირვანქა ერბოს მიღებისათვის არაქანი 15 ტოლჩა რძიდან

\*) ვინცობა ამხანაგობას არ ეყოს საქმის დასაწყებად შექუჩებული ფული, შეუძლია მიმართოს დახმარებისათვის მთავრობის მიწად-მომქმედ დეპარტამენტს, ან თბილისის სამეურნეო ბანკს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ან საადგილმამული კომისიას.



უნდა მოიხადოს, მანქანით კიდევ მხოლოდ 10 ტონ-  
ჩიდან. ამასთანავე ყველამ იცის, რომ შინაურუ-  
ლად მომზადებული ერბო ზამთარში 30—35 კაბ.  
იყიდება გირვანქა, იმ დროს როცა მანქანით მო-  
მზადებული, იმის მიუხედავად, რომ ნაკლები არა-  
ეანი სჭირდება, ზაფხულობით 40—45 კაბ. გა-  
დის და ზამთრობით 50—60 კაბეიკადაც.

შეიძლება კიდევ, ოჯახში კარაქი ბლომად  
მოკროვდეს, მყიდველი კი არსად იყოს და ამის  
გამო წახდეს და დამძაღდეს, ან არა და ძლიერ  
ნაკლებ ფასებში გაიყიდოს. საამხანაგო საერბოს-  
მკეთებლოს კიდევ მუდამა აქვს ბაზარი ერბოს გასა-  
საღებლად და არამც თუ უჭირდება, პირიქით, რო-  
გორც გამოცდილება ამტკიცებს, ჩვეულებრივ არც  
კი ჰყოფნის ხოლმე ერბო არსებულ მოთხოვნის  
დასაკმაყოფილებლად.

ბოლოს, მეტი არ იქნება, მიუთითოთ იმაზე,  
რომ ამხანაგობა, ფულის გამოსავლის გარდა, სუ-  
ლიერ სარგებლობასაც იძლევა: ხალხს აკავშირებს  
სულიერად და ადამიანს ასწავლის, როგორც თა-  
ვის ინტერესების დაცვას, ისე თავის სოფლის  
მცხოვრებლებისას.

როცა აშკარად დაინახავენ ხოლმე ამგვარ  
მეურნეობის სარგებლიანობას, გლეხები უფრო  
უკეთესად უვლიან თავის საქონელს, აღიღებენ  
მეწველ ძროხის რიცხვს, უფრო უფრთხილდებიან  
საძოვარს და ავრცელებენ ბალახის თესვას. ასე  
საქმის წაყვანათ გლეხებს დოვლათი ემატებათ და  
აუტანელ ტანჯვას და სიბნელეს თავს აღწევენ.

თუ სადმე ჩვენ სოფელში გლეხებს მოუვიდათ  
აზრად ამხანაგობის დაარსება, უნდა ჯერ უკვე  
არსებულ ამხანაგობათა წესდებას გაეცნონ, განი-  
ხილონ, და მერე გააწესონ გადასახადი და აირ-  
ჩიონ რწმუნებულები, რომლებაც უზამდგომლო-  
ბას გასწევენ მთავრობის წინაშე და დაამტკიცებ-  
ნებენ ახალ საზოგადოებას.

რწმუნებულები მთავრობას აძლევენ თხოვნას  
და ორ ცალს, ყველა დამფუძნებელისაგან ხელმო-  
წერილ, წესდებას. როცა წესდებას დაამტკიცებენ,  
მონაწილეები ჰპართავენ საერთო კრებას და აქ  
აღგენენ, რანაირად დაიწყონ საქმე.

თუ ამხანაგობას საქმე კარგად წაუვა, მაშინ  
შეუძლიან საერბოსმკეთებლოსთან საწვრილმანო  
დუქანიც გააღოს, სადაც გლეხი თავის მოტანილ  
რძეში სწორედ აწონილს და რიგიან საქონელს  
მიიღებს. ამისთანა დუქნიანი საერბოსმკეთებლო  
ამხანაგობანი ვოლოგდის გუბერნიაში არსებობენ.

შემოსავალი დუქნისა, რომლის ბატონ-პატრონი  
ამხანაგობის თვითელი წევრია, ან საამხანაგო  
საქმის გაფართოვებაზე მიდის, ან არა და როგორც  
ჯილდო ეძლევა გლეხებს წადებულ საქონლის რაო-  
დენობის დაგვარად.

საქონლის რაოდენობის დაგვარად.  
საქონლის რაოდენობის დაგვარად.  
კოოპერატორი.

## ნავთის სამეფო

### წერილი II.

ბაქო შინაგანი საქმეებით, მრეწველობით და  
აღებ-მცემობით ევროპის ქალაქებს არ ჩამოუვარ-  
დება. იგი საშინელი კონკურენცია და კომერციულ  
სფერაში არა ერთხელ იცვალა ფერი მის წინ რუ-  
სეთის სხვა და სხვა ქალაქებმა, მაგრამ ეს ტიტა-  
ნი ქალაქი უძლური, დაძაბუნებული შეიქმნა 1905  
წელში. შემოჰკრა თუ არა ამ წელიწადმა ბაქოს  
თავისი მკაცრი, შეუბრალებელი ფრთა, ღონე  
მიხდილი გაართხო დედა-მიწაზედ.

ამ ორმოცი წლის წინად, როდესაც ბაქოში  
ნავთი აღმოაჩინეს, როგორც მკვიდრი მცხოვ-  
რებელი, მიწის მფლობელი იყვნენ—თა-  
თრები. იშვიათად შეხვდებოდით აქ, სომეხის გარ-  
და, უცხო ვინმეს. სომეხობა აქ წვრილ ვაჭართა  
კორპორაციას წარმოადგენდა.

დაბადებით კომერსანტმა სომეხმა, გაიგო თუ  
არა ამ მამულების გემო, ფუტკარივით დაეხვია და  
კიდევ ისარგებლა თათრების უკულტურობით და  
გაუნათლებლობით, რომელთაც ვერ გაეგოთ, ვერ  
მიხვედროდნენ, თუ რა ბაჯალლო ოქროებით იყო  
მათი მამულის გული სავსე. ნავთის მომცემი საუ-  
კეთესო ადგილები საჩქაროდ ჩაიგდეს სომეხმა  
ხელში და ბოლოს დანარჩენი მამულებიც ნელ-  
ნელა, შეუმჩნევლად გადავიდა მათ ხელში.

ღიახ დღეს ბაქოს და მის მიდამოების ბატონ-  
პატრონი და აჭაური კაპიტალის წარმომადგენელი,  
თითო ოროლას გარდა,—სომეხია.

ბოლოს მიხვდა თავის შეცდომას თათარი,  
მაგრამ გვიანდა იყო. ამ აუარებელ სიმდიდრეს  
პირში ნერწყვოსული შორიდან შესცქეროდა,  
გულნატკენი, ოხვრა-ვაების მეტს ვერაფერს ჰხე-  
დავდა, მაგრამ შურის ძიების სურვილს გულში  
ატარებდა.

ღიახ, ამ შურის ძიებით სავსე გულის თქმას  
ყური მოჰკრა „სხვამ“, რომელმაც გაუათასკეცა



მას ბოლომდე, ჩაივლია ხელი, გაუძღვა წინ და... ერთ მშვენიერ დღეს გადაიბუჯა მთელი ბალახანა. 15,000 კოშკი უცხად შთანთქა აღზნებულმა ცეცხლმა და მოშიშვლებულ-მოტიტვლებული ნავთის სამეფო გახრიოკებულ ტრიალს მინდორს დააგვანა. განადგურდა უთვალავი სხვა და სხვა ქარხნები, სახელოსნოები და ფერფლად იქცა აუარებელი მილიონები. ამას მოჰყვა ორ მეზობელ ერთა შორის შეტაკება, უგუნური სისხლის ღვრა, სახლების აკლება, მათი წვა და მინგრევ-მონგრევა.

ამ დროს ბევრმა თათარმა დაიბრუნა თავისი მამული, ბევრმა აუარებელი სიმდიდრე შეიძინა, ერთი სიტყვით, ვინც სახელად „უჩი“\*) დაირქვა და რამდენიმე შეიარაღებული კაცი ჰყავდა, ყველა გამდიდრდა და ამის შემდეგ მათაც მოჰკიდეს ნავთის მრეწველობას ხელი. მათი რიცხვი ბალახანაში დღით-დღე იზრდება; მხოლოდ ყველა მათგანი, გარდა ორი-სამი კაცისა, წარმოადგენდნენ წვრილ და პატარა კაცუნებს ჯერ-ჯერობით და შემდეგ დრო გვაჩვენებს.

ეს გახლდათ უმთავრესი მიზეზი 1906—7—8 წლების საშინელი კრიზისისა, ამ ფულის საკურთხევლად გადაქცეულ ქვეყანაში. ასეთი კრიზისი არამც თუ ბაქოს, ვკონებ, თვით ევროპის დიდ ქალაქებსაც არ ენახებოდათ. ჩვენი წვრილი და შუათანა ნავთის მწარმოებელი იმსხვერპლა ამ კრიზისმა. მწარმოებელს ნავთის ამოღება 13 კაპეიკი უჯდება ფუთი და ამ კრიზისის დროს ნავთის ფასი 11 კაპეიკამდის დაეცა. მწარმოებელმა ვერ გაუძლო ფუთზე ორი კაპეიკის ზარალს და კლიტე ჩამოჰკიდა თავის საწარმოვო ქარხნის კარებს.

კრიზისმა ათი-ათასი მუშა ქუჩაში ისროლა და, თვეობით მშვიერ-მწყურვალნი, ქალაქის ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს, აწყვიტა; ილაჯგაწყვეტილმა მუშამ იარაღს მიმართა. გახურდა ცარცვა-გლეჯა. შუადღისას ქუჩაში გავლა უშიშრად შეუძლებელი იყო.

ამ განსაცდელში იყო ბაქო სამ წელიწადს, შემდეგ დაწყნარდა ყველაფერი. ცხოვრებამ ნელ-ნელა დაიწყო თავის კალაპოტში შესვლა; არეულობის დროს საზღვარ გარეთ გაქცეული კაპიტალისტები დაუბრუნდნენ საქმეს და ქალაქმაც მიიღო მუდმივი ელფერი, ისევე დატრიალდა მისი ცხოვრების ჩარხი.

ბაქოში ბირჟის მეფეებად როჩილდი და ნობელი ითვლებიან. მისი ბედ-იღბალი ამ გაუმაძღარი სვავების კლანჭებშია და მართლაც ამ პირთ ბირჟაზე „სვავებს“ უწოდებენ.

ფულის ხომ ყველაფერი შეუძლებელია და მის ძალას კიდევ ხელს უწყობს კომერციულ სფერაში არსებული მრავალი ხრიკები და გაიძვერაობა. ეს კაპიტალისტები, როდესაც მიიყვანენ ნავთის ფასს მინიმუმამდის, წვრილ მწარმოებელთაგან რამდენიმე მილიონ ფუთ ნავთს თვითონ ყიდულობენ, მათ ამისათვის აუარებელი რეზერვუარები აუგიათ შავ ქალაქში და სხვა და სხვა უფრო ხელსაყრელ ადგილებზე. როდესაც ფასი აიწევს, მაშინ ეს „სვავები“ დაჰქროლავენ ბირჟას, გახსნიან სავერჯე-რეზერვუარების მილებს, უშვებენ ნავთს და მის მორევში ახრჩობ-აღრძობენ ბირჟას და მასთან წვრილ მწარმოებელთ. ამას წინად, როდესაც ნავთის ფასმა აიწია—ფუთი 38<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაპეიკამდის ავიდა—„გეყო ფარფაშობაო“, დაუღრიალა ბირჟას ნობელმა და დაჰქროლა მას. ვლადიკავკავის და ტაშკენტის რკინის გზებს სამი მილიონი ფუთი მისცა და ამით ფასიც დაეცა 36 კაპეიკამდის. გულ-გახეთქილმა წვრილმა მწარმოებელმა, თუ კი ვისმეს ჰქონდა ნავთი, საჩქაროდ მიჰყიდ-მოჰყიდეს, ეკონათ ახლა კი გაალო პირი „სვავმა“ ჩვენს გადასაყლაპავადო, მაგრამ „სვავებმა“ ფრთები შეიკრიბეს და ჯერ-ჯერობით განსვენებას მიეცნენ, გაჩუმდნენ, აღბად რაღაცა საზარელ საქმეს უპირებენ საბრალო ბირჟას და უცხად უნდათ გადაყლაპონ წვრილი, პატარა მრეწველნი, რომელთაც, ვინ იცის რამდენჯერ დაუკორტნიათ მძლავრი და მაგარი ნისკარტით, რის წყალობითაც ზოგი მათგანი დღეს ძლივს-და მიღონდიანებს.

ბევრჯელ შეჰკრეს აქ წვრილმა მწარმოებლებმა ბლოკი, აღარ აძლევდნენ ნავთს როჩილდს და ნობელს, მაგრამ ამოდ. ამ სვავებს“ მაშინ ფრთას ავლევინებენ სომეხი კაპიტალისტები და წლობით უდებენ პირობას, რომ რაც ნავთი ამოვა მათ საწარმოვოში ჩააბარონ „სვავებს“, ერთ კაპეიკით ნაკლებ არსებულ ფასებზედ რისთვისაც ნობელი და როჩილდი წინდაწინვე მილიონობით ურიგებენ ფულს. ეს ხრიკი უფრო იმისათვის ხდება, რომ უცხო თვალისაგან დაფარული იყვეს კომერციის ასეთი მანქანებანი. და რადგანაც წვრილ მწარმოებელთა რიცხვს, მხოლოდ თათრები შეადგენენ, სომეხთა შურის ძიების დროშაც აი სწორედ აქ იშლება...

\*) თათრულად — დონიერი.



არც თანამედროვე ცხოვრების კვალს ჩამორჩენილა აქაური კაპიტალისტი. იგი არა სწევას არც შამფურს და არც მწვადს. აქეთ ხელ გაშლილი, დარდიმანდული ქველმოქმედება, აუარებელი კულტურული დაწესებულებანი და იქით ხუთასათას მანათად ღირებული სატუსალოების შენება, შეწირვა სამი ათასი სხვა და სხვა კონსტრუქციის ბორკილებისა. სამაგიეროდ გუშინდელი გადგი, დღეს გადგა-ილა და ღენერლის ფორმით ქუჩაში დანავარდობს.

ასეთია ამ ქალაქის ვითარების ერთი მხარე და თუ მას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ბევრს საინტერესოს შეხვდებით.

რას შვრება აქ ქართველი, რომლის რიცხვი დღეს ბაქოში 5000-ას აღემატება და დღითიდღე იზრდება? რა სარგებლობა მოაქვს მას თავისი ერისათვის, თავის სამშობლოსათვის? ამაზე პატივცემულ მკითხველს შემდეგი წერილით მოველაპარაკები.

ალ. ნ—ძე.

(ხ მ ა ქ ა ხ ე თ ი დ ა ნ )

ცოტა რამ სოფლის ბიბლიოთეკებზედ

სიღნაღის მაზრა. ამ უკანასკნელ წლებში კახეთის სოფლებს სწავლა-განათლების მხრივ ერთის შეხედვით დიდი წინსვლა ეტყობა. იქ, სადაც სკოლა არ არსებობდა, გაიხსნა, ან იხსნება ახლო მომავალში. სადაც არსებობდა, იქ ემატება ან განყოფილება, ან კლასი. სკოლებს თან მოსდევს ბიბლიოთეკების უხვად დაარსება. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ სოფლის ბიბლიოთეკები მაინტერესებენ, მათ მოქმედებას შევეხები და ორიოდ ჩემ სურვილს ან, უკეთ რომ ვსთქვა, მოსაზრებას გამოვსთქვამ ამ დაწესებულებათა მკვიდრ ნიადაგზედ დასაყენებლად. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს სტატისტიკა სოფლის ბიბლიოთეკების მოქმედების შესახებ ჩვენში და ამიტომ ძნელია ჩემთვისაც უტყუარი ანგარიში წარმოვადგინო მკითხველის წინაშე მათ შესახებ, მხოლოდ ზოგადს ჩემს დაკვირვებას კი გაგიზიარებთ. აქამდის თითქმის ყოველი სოფლის ბიბლიოთეკა ერთსა და იგივე ისტორიას განიცდის: ამა თუ იმ სოფელს მოველინა დროებით ინტელიგენცია; ადგილობრივ მცხოვრებთა „ინტელიგენტურ“ ნაწილის დახმარებით დააარსა ბიბლიოთეკა, რომელიც ინახება დამაარსებელთა

საწევრო გადასახადით და წელიწადში ერთხელ გამოართული საქველმოქმედო წარმოდგენით ან საღამოთი. პირველი ორი ან სამი წელიწადი „ხალისობენ“ დამაარსებელნი და, თუმცა დიდის ოხერით, იხდიან თავიანთ წელიწადს წელიწადში მანეთიდან—სამ მანეთამდე. შემდეგ ხალისი იკარგება წევრთა შორის და კანტი-კუნტაჯ-ლა ეხმარებიან ამ დაწესებულებას, რომელსაც თანაბარი დახმარება კი სჭირია, რადგანაც ხარჯი ბიბლიოთეკას ცოტა არა აქვს. მკითხველი ან თავიდანვე არა ჰყავს, ან ვინცა ჰყავდა, ისიც აკლდება, რადგანაც ისევ დამაარსებელთაგანი თუ ჰყავდა მკითხველად და ისიც ფორმის გულისთვის, რომ წამბაძველები გამოეწვია. ამ გვარად თან და თან უფერულდება მის გარშემო აღძრული აღფრთოვანება და გატაცება, შესანახი სახსარი ეცლება ნელ-ნელა და უდღეური ბავშვით დაფეს სულსა. რასაკვირველია, შეიძლება და უფრო დაწვრილებითი დახასიათება ამ ისტორიისა, მაგრამ ესეც კმარა იმისთვის, ვინც იცნობს სოფლის ბიბლიოთეკებს და, ვინც არ იცნობს, იმედია, დაიჯერებს. გამოჩაკლისი ყველგან არსებობს. უკანასკნელზედ ლაპარაკი მეტია. დამაარსებლებს რომ ჰკითხო, ბიბლიოთეკა ხალხისათვის იყო გახსნილი; მაგრამ ხალხიდან ერთსაც არ გაუქაქანებია, ბიბლიოთეკის დღიდან დაარსებისა და მისი სულის დაღევამდე. ესეთი სამწუხარო მდგომარეობა სოფ. ბიბლიოთეკებისა, ჩემის აზრით, უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ჯერ-ჯერობით სოფლის ბიბლიოთეკას მკითხველი არა ჰყავს ხალხიდან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხალხში ჯერ წერაკითხვა ძლიერ მცირედაა გავრცელებული, ან სულ არ არის. მაშასადამე, ბიბლიოთეკას ნიადაგი ყველგან არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს. ლოლიკა ამას გვიკარნახებს. სამწუხარო ჩვენში ის არის, რომ ყოველნაირი დაწყობილება „მოდასავით“ შემოდის, და, ვინ არ იცის, რომ „მოდა“, როგორც ახალის მოყვარულობაზედ და წამბაძობაზედ დამყარებული, ყოველთვის უდღეური და წარმავალია. ამას წინადა, ერთმა კეკლუცმა „კარტველმა“, თავადის „კალმა“ მახარა, რომ თავის სამშობლო სოფელში ბიბლიოთეკის დასაარსებლად ნებართვა მაიღო. ჩემს შეკითხვაზედ, სკოლა არსებობს დასახელებულ სოფელში თუ არა, მან გაკვირვებით თავი გაიქნია. მაშ ვისთვის ან რისთვის ირჯება კეკლუცი „თავადინა“? ბიბლიოთეკას სოფლად ჯერ-ჯერობით



ყველგან არა ჰყავს ისეთი ელემენტი, რომელსაც თვითონვე შეეძლოს მისი შენახვა, როგორც საქირო და სასარგებლო დაწესებულებებისა.

ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა უკუ ვაგდოთ შემოხსენებული „ზოდასაფით“ გატაცება ბიბლიოთეკებით იქ, სადაც ჯერ ნიადაგი არ არსებობს და დავადგეთ უფრო დინჯსა და მოსაზრებულ გზას ხალხის განათლებისას. იქ, სადაც არავითარი სკოლა არ არსებობს, ადგილობრივი გულშემატკივარი ინტელიგენცია უნდა ეცადოს სამრევლო, სამინისტრო ან ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების სკოლას დაარსებას. შემდეგში ამ სკოლებთან ადგილობრივი ძალებით უთუოდ უნდა დაარსდეს საკვირაო სკოლა, ან გაიმართოს სახალხო კითხვები, სადაც არსებობს ერთ-ერთი ზემოთ დასახელებულ სკოლათაგანი მაინც, თუ იგი დიდი ხანია არსებობს, და ამ გვარად წერა-კითხვის მცოდნე გამოუზრდია ამ სოფელში, იქ, რასაკვირველია, შეიძლება ბიბლიოთეკაც და მასთან სახალხო კითხვები და საკვირაო სკოლაც. თუ ხელო ახალი დაარსებულია და ჯერ ვერ დაუსვავეს სწავლა-განათლების ბეჭედი, იქ სჯობიან ჯერ საკვირაო სკოლა და შემდეგში ბიბლიოთეკა. ესეთ გზას უფრო მკვიდრი და ნაყოფიერი ნიადაგი უჩანს, ვიდრე აწ არსებულს. მხოლოდ მაშინ ექნება ბიბლიოთეკას ქონებრივი ნიადაგი და ზნეობრივი მიზანი. მკითხველი საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეინახავს ხალხისიანად თავის პირმშო შეილს. როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელ გზას დაადგა კიდევ რამდენიმე სოფელი.

სოფელ გურჯაანში, მაგ., ადგილობრივმა ინტელიგენციამ უკვე აღძრა მთავრობის წინაშე თხოვნა სამინისტრო სკოლასთან საკვირაო სკოლის ნებართვის შესახებ, და იმედია, სათანადო მთავრობა ნებას დართავს ამ დაწესებულებას. არც გასაკვირველია გურჯაანისთვის ეს დაწყობილება, რადგანაც აქ არსებობს ორი სკოლა ოთხი მასწავლებლით და ორი მღვდლით; ამათ გარდა, არის ექიმი და კიდევ, სამეურნეო სწავლით აღჭურვილი რამდენიმე განათლებული კაცი, რომელნიც აგრეთვე დაეხმარებიან საკვირაო სკოლას. ამათ არც უნდა დაიშურონ თავიანთი ცოდნა და ენერჯიაც და მხედ უნდა ჩაებან ხალხისთვის შრომის ფერხულში. ამას თხოულობს მუშა ხალხისთვის გულშემატკივრობის საქმით დანახვება, თორემ, ხომ ვხედავთ, რომ ცარიელი ლაპარაკი ხალხის ინტერესებზედ და ოხერა—აღტაცება ვერას აღწევს. ასეთივე გზას დაად-

გა, უფრო აღრეც, სოფელ კარდანახის ინტელიგენცია; მაშ ვუსურვოთ ახალ გზაზედ გამარჯვებით წინ სვლა სოფლის ინტელიგენციის.

ქართული  
შეხვერელი.

## თეატრი და სელოვნება

ქართული თეატრი.

ახალი სეზონი სასოგადოთ უფრო სრულია და მადლიანი წინანდელეებსედ. ახალი რეპერტუარი, სთეატრო ეფექტები, დეკორაციები, დასის მუყაითი მუშაობა იმედს გვიდღისებს, რომ ჰროგრესი წგენი სელოვნებისა ჯერ არ შეჩერებულა. რამდენიმე ახალმა პიესამ დაგვიტკიცა, რომ ბუერ ნაკლთან, დიდი სიუვარულიცა აქვთ წგენ სტენის მუშაკთ გაუმჯობესებისა და, შექცების და გუარად, სძლევენ ძველებურს კინკლაობას და შედღს, რაც წარმოდგენის მთლიანობას შეტად ხელს უშლიდა უოვედოვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალი პიესები: „მთის ზღაპარი“, „ეგვიპე“ და „ანტიკონე“. მე მსურს შეითხველის უურადღება უფრო ამ უკანასკნელს მივაქციო, რადგან პირველ ორს, გარდა პატარ-პატარა ნაკლებისა, ჯერ დაუმთავრებლობა ეტუობა, როგორც სასტენო ეფექტების მხრივ, ისე შინაარსითაც. მაგ., მიუკაშვილის „მთის ზღაპარს“, იმის გარდა რომ კლდეები სახლისგან შეთწასმულეობით ბრწყინავენ, ბრადის ჩანჩქერი კი ხვს მოკიდებულა, რომ ახლად მოკლეულ არწივს ფრთები და ფეხები გაფშევილი აქვს და მშველი დამხნავლ კატას ჭკავს, იმის გარდა რომ სიმბოლიურ — ზღაპრულ შთაბეჭდილებას აფეჭებს ღეოს შავი სურთუქი და მეღოს შანტეკლერის კაბა და ფრანგული ქუსლეები (ევედა ესენი აფაღში სახსერი წვრიმადლება), — ეველა ამას გარდა, ვამბობ, შინაგანი ნაკლებიც ბუერია. იგი თითქო სიუვარულით შექმნილია, მაგრამ გამოზრდა, დაკვირვებით შემოქანდაკება უაგულის ნაკვთისა, ავტორს დაზარება, ან დაჩქარებულაო. მაგ., შეტად უხერხულს და გარედან მიკერებულს ჭკავს სასკვი ამ „ზოემისა“, ჟამბეროდის ვაჟის ცხენიდან ჩამოვარდნა. მკელი ეს სტენა როგორღაც განკებ შეჭვდილია, და ამგვარა შეხვედრა მეღოსი და ღეონისა უხერხული გამადის. საზოგადოდ, ავტორს უურადღებით შეუმუშავებია უმთავრესი მომენტები და მეორე ხარისხოვანები კი, რომელნიც უნდა გარმონიულად აკავშირებდნენ პირველებს და სინამდვილის ეფექტს ახდენდნენ, —



სრულად არ ვარგანხან. ამ მხრივ ბრძანებრივ ძველი მონათქვამებელია, თუ რისთვის დასჭირდა, მაგ., ავტორს საცოდავი უნდა „ბებერა“, რომელსაც მეთაქსავით აქეთ-იქით უაზროდ დაათრევენ და სხ.

გადავალ ანტიგონესზე.

გვახვას (რომელც საზოგადოთ საინტერესო ლექსტორია) უფერულად წაკითხულმა წინასიტყვაობაში არა თუ არაფერი არ შეგმატა „ანტიგონეს“ წარმოდგენის, ზირ-იქით შთაბეჭდილება წახდინა, რადგან უმთავრესი ნასკვი ტრაგედიისა, — ბერძენთა შეხედულება დაუსაფრთხელ გვამის ტანჯვაზედ, სრულად უფერულად დასტოვა და უურადღებდა ასტრონომიულ (?) და იურიდიულ მხარეს მიაქცა. ასტრონომიულ-გეოგრაფიული გაფლენა ბუნებისა ბერძენების ფიციხიკაზედ სასახარულად იყო, ტრაგედიის შინაარსი კი იბადება ცრუმორწმუნეობისა და ბუნებრივ მოთხოვნილებათა შეხლა-შეჯახების-გან; აგრეთვე გადაუღასეველი ბედისწერისა და აღმაჩინო სურვილების წინააღმდეგობადან. და ამ შემთხვევაში ჯაბ ზარკვი სახელმწიფოსა და ბრძოლების შორის ბრძალა-ზედ, საყვისი ნაძალადეგობით, შემდეგს წარმოდგენადარსების უკარგავდა და მაყურებელთა შთაბეჭდილებასი შეცდომაში შეჰყავდა.

საზოგადოთ, წინასიტყვაობა სრულად შეტი დროს-დაკარგვას, რადგან მისიობმა თავისი თამაშით და სიტყვებით უნდა განახორციელას ავტორის აზრი. თამაშის განხვავება წაკითხვისგან იმაშია, რომ მისიობში „ქმნიან“, ასისხხხორცებენ, ხნაღ იერს აძლევენ დიდებულა ავტორის დიდებულ ნაწარმოებს.

ამ მხრივ მშვენიერად იყო შემუშავებული მოთელი გარეგანი სახე წარმოდგენისა. მართალია, ცოტა წაბოძვა ეტუობიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, მაგრამ მაინც ნიჭიერად და სიუყარულით იყო შეთანხმებული უკუდაფერი. ეტუობა, კ. ანდრონიკაშვილის ბევრი ჯაბა და გრძობა-დაკვირვება დასჭირებია რომ ჩვენი დაქსაქსული სასცენო ძალებისგან მხატვრული მთლიანობა შექმნა.

ტრაგედიის შინაარსი მოკლე, მკაფიო და შეტად ტრაგიკულია, მარალაღ.

თების მეფე კრეონი სასტიკ ბრძანებას გასცემს — დიდებულად დამარხონ ეთუაკლე, სამშობლასოფის თავდადებულა, და ძაღლთა და ევაგ-ფორანთა სარხოდ დასტოვონ ზოღინიკე, რომელმაც მტრის ჯარი მოიფანა სამშობლო ქალაქის დასახელობად მათი და — ანტიგონე, არ ემორჩილება ამ ბრძანებას, რადგან მისთვის უმაღლესი კახობა სიუყარულია, რომელიც ერთხარად ეკუთვანს მართაჟ მისს. იგი მარხავს ზოღინიკეს და ამისთვის სიკვდილით ისჯება. კრეონის ძელი გემონი ანტიგონეს

სეს სატროფა და მამას ეხვეწება ჰატეობას, მაგრამ მოუდრეკელი კრეონი არა სტუდება და მარტო მარხუნი წინასწარმეტყველის სიტყვები აადებიანებენ ხელს თავის სიტყვაზედ. მაგრამ გვიანდაა: ბედისწერისა მშვენიერა თავისი მსხვერპლი. გემონი და ანტიგონე — მსხვერპლისა წუთი-სოფელს. შეწუხებული კრეონი იახოვს სასჯელს და განიდევნება ქალაქიდან.

სხვა, მუარე ხარისხოვანი ზინი ორიგინალურს და შეხამებულ ფონს წარმოდგენენ ამოთვის; თუმცა ძველი ტრაგედიის იმით განიჩქვავ, თავის და სასარკებლად, ახლანდელისგან, რომ იქ მუარე ხარისხოვანი არაფერაა. უკუდაფერს თავისი ადგილი და ზომა აქვს, თავისი აუცილებლობა მოხან-მისაღწევა. მოშიში იმძენა უფრო ნათელ ქეოფს ანტიგონეს მტკიცე ხასიათს; გემონის მგრძობიარე სულა თვალს გვიხელს კრეონის სასასტიკ-უგრძობლობაზე.

როგორ შეასრულეს, როგორ მაყარუნეს ამ ტრაგედიის ჩვენი მსახიობნი?

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მათი ერთოფლად-ნობა, გრძობიანი და მოთქიკებული თამაში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით კერძოდ უკუდა მათგანზე.

რამდენადაც ანტიგონე ჯამაზი, შეგნებულად მოათამაშე, მდიდარი მიშიკით და გრძობით აღსავსე იყო, იმდენად კრეონი უმხო, როღის უცოდინარი და სრულიად შეუგნებელი როღისა. რამდენადაც ანტიგონეს სულის ზრახვანი და მისწრაფენი უსიტყვოდაც გუფსა სვდებოდნენ, იმდენად კრეონი უფერულს, უსიციცხლო მანკებსა ჰგავდა. გუნიამ ვერ გადმოგვცა კრეონის დაუძალავი ძალა მედგარი სიმტკიცე ხასიათისა, გატყხილი მხოლოდ უზენაეს განსჯისა წინაშე, — ტირეზის წინასწარმეტყველებისა. მან არა თუ არ დაგვისურათა გუფის განცდანი, გამოწვეული იმ ზარკელ-შესვედრილი ტრაგიზმის მახვილით, რომელმაც გული შეუნგრია და ვაჟვანს ათქმევინა: სიტყვას გაგტებს, ბედს დაგემორჩილებიო, — არც კი შეგვამცნევინა, რომ ამ ვეებს ხასიათის ძირში რაღაც უჩვეუი და სიშიხელი მოხდა. ის ვინც ოვით ღმერთებს ეურჩება, ვინც მტკიცედ ამოაბს:

„თქვენ ვერ მისწვდებით დაასაფლოთ მიცვალებული, თუნდაც არწივმა, ძევის ბრძანებით, იგი ჰყოს მოტაცებული“.

ის კრეონი, ქედს იხრის და, „თუმცა არა სურს“, ემორჩილება მხოლოდ ბედის წერას, რომელსაც „ღმერთებიც ემორჩილებიან“. ეს ტიტანოურა ხასიათი, ეს აღმაჩინი, რომელმაც არ იცის ორწოფობა, თითქმის ღმერთს უღარება ძალით, გუნიას სახით რაღასაც მოუხეშავს წარმოდ-



გებდა. „ბონფასის ჰეავსო“, ითხუჩვა ერთმა დამსწრე ქართველმა მწერადმა. მაშინაც კი, როცა გემონია, მისი ერთად ერთი საყვარელი შვილი, განგძირული მკითაიტა ხა, მაშინაც კი არ ეტყობოდა უხომოა წუხილია მახიუგარულია მაშინა. ის წუხილს თამაშობდა და კი არა სწუხდა. და აბღუშელს—მომბეს, რომ წინადუ არ ეთქვა, კრკანი სწუხდათ, ამას ვერაინ მახედელოდა. ისეთი ტლანქი მიხურა-მოხურა, თავსუდ ხელების მტკრუვა და ამასთან უძრავი სხის გამომეტყველება სრულიად არ შეეფერებოდა მის როლს. წვეულებრივი როლის არ ცადნა, რომელსაც ზრახში ჭუარავს ხოლო—აა! ჭმ, ეე .. და სხვა უცნურ ხმებით, ლექსში მეტად უხეში და უმგვანი იყო. ესეთი თამაში აფერხებდა სხუებსაც და დარბაისულ იურს უგარკავდა.

დავითაშვილის ჩიჭიერ თამაში, კარდა გუნიასი, ახდენდა ცოტათი მატარა ხმის შეუფერებლობა იმ მედიდურ გამომეტყველება-მოდრაობასთან, რომელიც ისე კარგად ეგუებოდა მთელს გარემოებათ.

იქ, სადაც გამოსახენი იყო ქალურ გრძობათა სიღრმე-სიღიადე, დავითაშვილი შეუდარებელი იყო: მისი ხმის ბეკრანი ზოგან იმისთანა სიძლიერით და მჭერმეტყველურად მოსიმიდნენ, თითქო თავის დვიდეს, სავუთარს კრძობათ განიციდია; მაგრამ მაულოდნელი გადასვლა ერთი ტონიდან მეორესუდ,—ზეიმურიდან გრძობიერსუდ და შემდეგ ისევ ზეიმურსუდ, ცოტა უხერხული და არა ბუნებრივი.

ჩინებული იყო მისანი—ტირუზი—შალიკაშვილი. ეს მსახიობი, „რომელიც თავის დღეში როლს არ აფუჭებს“, ზირდაზირ საუცნაო იყო. მისი გარეგნობა გრძობი, მოძრაობა სავუთარს ეწეობოდა ახსამბლს და ადვილებდა გულში იღრმულ მოკრძალებას მისდამი. მისი მძლავრი და მჭრელი სიტყვები, თუ გულს ვერ უგარკავდნენ კრკან—გუნიას, მაყურებელს და ხამდევი კრკანს შეამძრწუხებდნენ და ფერს აცვლეფინებდნენ. მისი ადელუგობა, პირად შეურაცხყოფით გამოწვეული ადელუგობა, ისეთი ბუნებრივი, ისეთი ხათელოა, რომ თვით იმ ბებერის, აუღელუგებელ დმერთებლს მოცაქული ბებერის სულში ჩავახედებთ და გათქმევენებთ: ადამიანი, თუნდაც დმერთის მოცაქული და მათგან დაბადებული,—მაინც ადამიანია და „ანაფური ადამიანური მისთვის უცნა არ არის“. შალიკაშვილმა ძირამდლს დაშრიტა სოფოკლეს აზრი და მთლიანი, ძვირფასი სურათი დაგვიხატა დვთის მისანიას. უველაზედ ხალები მას ეტეობოდა ცრუ-გლასიკური ზეიმობა და ეს ზომიერება რომ სხუებსაც დაეცვათ, მთელი წარმოდგენა ამ სეზონის შედეგად ჩაითვლებოდა. სასოგადოთ ცრუ-გლასიციზმის გავლენა მთელ ზიესსუდ ისეთი ძლიერი იყო, რომ ზოგიერთი არტი-

სტები ვერ უძლებდნენ ამას და არღვევდნენ მთლიანობას თავისი მიხტი-მიხტიანობით (მაგ., მგალაობლი მთლიანობისი გლესური დანარკით, ან აბღუშელის ლექსთა წეობა, თითქო ავთანდილის ლექსსა კიფხულობისს) მეტარსუ და ხორთ უფრო ურთებსა ჭგვანდნენ, ვიდრე ბერძნებს და მათი ვერობიულო სიმღერა უსიტეოლ (რადგან არც ერთი სიტყვა არ ისმოდა მკათოდ), მუსიკასთან ერთად როგორღაც არღვევდა ზეიმს წარმოდგენისის და რადც ვალსისებური ხმები გემონის სიკვდილის დროს, ხომ სულ უცნურს შთანბეჭდილებას სტეგებდნენ.

ცუდები იყვნენ: ისმენა, რომელიც უფრო ფილენჯიანისა ჭგავდა, ვიდრე შიმიკის მეფეს; კერიდიკე—ისეც ის უცვლელი კარკარეთელი, რომელსაც შეთვის, გლესის, ახხურის ცოლობა, თუ უველა ამათი ქალიშვილობა კრანაირადა აქეს წარმოდგენილი და ერთხაირის სანტიმენტალიზმით თამაშობს. ცუდები, ძალიან ცუდები იყვნენ მსახურნი, მაგრამ ეს კი რეჟისორის ბრალია, რადგან უსიტეოლ ადამიანსაც უნდა შესაფერი გრიმი და ცხიმი ჭქანდეს, თორემ მეტად აფუჭებს შთანბეჭდილებას ის გარემოება რომ საბერძნეთის, საქარაველას, ვერობა თუ ინდოეთის მსახურნი იგივე თარალაშვილები და ადექსიციები არიან, ისეც იმავე მიხურა-მოხურთა და სხით. გრიმი, ეს უზარველესი მცნება მსახიობისათვის, რომ მაყურებელს არ ეხეთირებოდეს თკალში თარალაშვილის სახე იქ, სადაც ბერძნის ჭბუკა, ან ჭლოანდიის ზრინცი უნდა ეგულებოდეს. დასასრულ იტყვიან, რომ გადაჭარბებული შეიმიითი კილო, მიღებული უველახაცან, არ ეგუება არც ზიესს და არც ეხლანდელ შეხედულებას თეატრსუდ, რაცორც მასწავლებელ მოუღენახუდ. არ შეგვიდღიან დიდი მადლობა და სიხარული არ გამაუცხადოთ რეჟისორს და მთელ დასსაც, რომ ხამდევი ესთეტიური და მადლი გრძობების ადუძრეს, ბლომად დამსწრე ხალხს უსურვოთ გამარჯვება და გულწრფელი სიფარული მედშამენას ტაძრისადმი მომავალში. ქართველი საზოგადოება არასდროს უმადური არ არის და დაიასება უფველთვის იცის, თლისდ გაისაჯენით და მართლაც კარგი რომ აჩვენო.

რ. გ.

# ნ ა რ ე ვ ი.

სიჩუმის კლუბი. ამას წინად ლონდონში გაიხსნა ახალი კლუბი,—სახელად „სიჩუმის კლუბი“. ამ კლუბში ყრუ და მუნჯები იკრიბებიან და დროს ატარებენ. მეტად საინტერესოა უცნაურ კლუბის წევრების დროს გატარება.



გარშემო სიჩუმე მეფობს, მაგრამ წვერები, მრავალა კაცები და ქალები კი ძალიან კარგად ჰგროძობენ თავის თავს. მუნჯები ერთმანეთს შორის მხიარულად ბაასობენ ხელების და თითების საშუალებით, რადგანაც კლებში ხარები არ არის, მოსამსახურეებს ეძახიან ელექტრონის სინთლით. მაგალითად, თუ წვერს კლებში შეშოსვლა უნდა, ელექტრონის დღეს დააჭერს,— უფროად ელექტრონი გაანათებს და მოსამსახურე კარს გაუღებს. უმთავრესი გასართობი წვერებისა არის— კითხვა, ბაასი, ბილიარდის თამაში და.... გალობა. აქაც მარტო ხელების დახმარებით. სიჩუმე და ხელებ-თითების

ფათური, ამ უცნაურ კლებში მხიარულ ატმოსფერასა ჰქმნის.  
(მაგრამ ეს უცნაურობა არ გავიწყვებს ქართველ მკითხველს... ვინც თბილისის ქართველობის „ახალ კლებში“ ყოფილა, საცა „მხიარულ“ ატმოსფერას მარტოდენ ესეთივე ჩუმი ხელის ფათური ჰქმნის ქალაქის თამაშის დროს, სადაც მუნჯური და უცნაური სიტყვები და ისმის: ბაკარა, მიკაო... განსხვავება მხოლოდ იმაში თუ არის, რომ ლონდონის კლების მუნჯები წიგნებსა და გაზეთებსაც კითხულობენ...)

## ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

ბ.ბ. ახალგაზრდა მწერლებო! მწერლებო, რომლებიც უკვე გამოსულხართ სამწერლო ასპარეზზე და ნწერლებო, რომლებიც გამომხვალთ ახლო მომავალში. ერთი თვე არ არის რაც ჟურნალი „კლდე“ გამოდის და ერთ თვეზედ მეტია, რაც ჩვენს რედაქციას აუარებელი ბელეტრისტული და პოეტური ნაწარმოები მოსდის. ჩვენ იმშიც დარწმუნებულნი ვართ, რომ მრავალი მათგანი ჯერ კიდევ გზაში იმყოფება. ყველანი ჩვენ დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ და შემდეგი უცნაური მოვლენა აღმოვაჩინეთ. ისინი შეეხებიან მზესა და მთვარეს, ვარსკვლავსა და ელვას, იასა და ყაყაჩოს, ზღვასა და წყალსა და სხ. მრავალ უსულო საგანს. არსად ადაძიანის ხსენება არ არის ამის გარდა, ეს უსულო საგნები მუდამ ლაპარაკში არიან, არშიყში, სიყვარულს გამოცხადებაში და ფილოსოფიურ საუბარში. მაგალითად. მზე ახველებს, მთვარე ნანას მღერ-ს, ვარსკვლავი „ლოგინში წვება“, ზღვა კლდეს ზღაპარს ეუბნება და მდინარე „იზმორება“, როგორც გვწერს ერთი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე უნიკო პოეტი. რაც შეეხება სიტყვა კლდეს, რომელიც, ჩენდა სამწუხაროდ, იმავე დროს, ჩვენი ჟურნალის სახელიც არის, იგი მოსვენებას არ გვაძლევს. ამ სათაურით ჩვენ მოგვივიდა ორმოცდა სამი ლექსი, ასთხუთმეტი მინიატურა, ასთვრამეტი სილუეტი, სონეტი, ჩაბრუნაული და მუხამბაზი. ერთის სიტყვით, ჩვენი მწერლების (ე. ი. თქვენი) საყვარელ სიტყვად გადაიქცა. ამის დანაშაულს ჟურნალი—„კლდე“ თავის თავზედ იღებს და მწუხარებას აცხადებს. ამასთანავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ ერთხმად დაადგინა მთავრობას ოზონით მიმართოს,— დაკეტოს ეს ჟურნალი, რადგანაც სახელის გამოცვლისაც გვეშინი: ქართველი პოეტებისთვის ვერგამოიგონებ ისეთ სახელს ან სიტყვას, რომელმაც არ ააფრთხიანოს, მუნა არ გაუღაზიანოს და ლექსი არ დააწერინოს.

**თქვენი ნიჭის „პატივისცემით“ რედაქცია.**

**„ტუმბას“:** თქვენი ფსევდონიმი ძალიან შეეფერება თქვენ ლექსებს, მაგრამ თქვენა ლექსები არ შეეფერება ჩვენ „კლდეს“.

**კლათონ კოკორიძის:** „უშვა ხელი სურას, რამაც იატაკზე (?) საშინელი ჩახანი მოიღო და მივიდა ტახტზე ჩამოჯდა და გადაჰკიდა თავი ფანჯარაში“. ლიტრამ რომ იატაკზე (?) ჩახანი მოიღოს— დასაჯერებელია, მაგრამ ტახტზე ჯდო-

მისა და ფანჯარაში თავის გაყოფისა კი რა მოგახსენოთ!  
**გიგლაშვილს** არ ითქმის: „გასტორცინლი, სიყვარული, ჩემი ფიქრთა სტვენა მარადი“. უნდა ბრძანო: გამეცალე საყვარელო, თავში მისტვენს მარადის

რედაქტორ-გამომცემელი  
**რ. გაბაშვილი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი.

# „განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასჯრათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სიმი მანეთი და ათი შაური (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით

ორი მანეთი (2 მან.); საზღვარ გარედ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ქ.-შ. წერაკობვას გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რედაქციაში. ქუთაისში წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისილორე კვიციანიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნუმრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Гру-  
зинская Гимназія: Л. Г. Боцвадзе.  
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.